



სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის  
ადმასრულებელი საბჭოს  
სხდომის ოქმი

თარიღი: 01 ივლისი, 2021

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

მისამართი: თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ 11.

სხდომის დაწყების დრო: 18:00

სხდომაში მონაწილე ადმასრულებელი საბჭოს წევრები: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), მამუკა ნოზაძე, გიორგი თევზაძე, ტარიელ კაკაბაძე, ზურაბ როსტიაშვილი, ციციხო ცხვედიანი, ნათია კორკოტაძე. დისტანციურ რეჟიმში (Zoom პლატფორმის გამოყენებით) მონაწილე წევრები: მარიამ კუბლაშვილი, გიორგი ტურაზაშვილი.

საკითხი 1. ასოციაციაში გაწევრიანება.

წევრები გაეცნენ:

(ა) მარიამ ტყაბლაძის, მარიამ შავლაყაძის, მარიამ ხაჩიძის, ლაშა რობაქიძის, გვანცა ჩხაიძის და ლუიზა ლომინაშვილის განცხადებებს გაწევრიანების შესახებ. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლებს წარმოდგენილი ჰქონდათ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სრული, ერთწლიანი კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი და გაწევრიანებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტი. შესაბამისად, განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი განცხადებები თანდართული დოკუმენტებითურთ აკმაყოფილებს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებს.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებებს და დოკუმენტებს. აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს მარიამ ტყაბლაძის, მარიამ შავლაყაძის, მარიამ ხაჩიძის, ლაშა რობაქიძის, გვანცა ჩხაიძის და ლუიზა ლომინაშვილის მიერ წარმოდგენილი განცხადებები ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე.

(ბ) ქეთევან ყიფშიძის განცხადებას გაწევრიანების შესახებ. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებელმა საადვოკატო სტაჟირება დაიწყო 2019 წლის 1-ელ იანვრამდე და მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 2019 წლის 1-ელ იანვრამდე მოქმედი რედაქციის მე-10 მუხლისა და მე-16 მუხლის მოთხოვნებთან. ამასთან, “პროფესიული ადაპტაციის პროგრამის“ დებულების 15.2. მუხლის შესაბამისად, ადაპტაციის პროგრამის გავლის ვალდებულება არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებმაც ადვოკატთა ასოციაციას მიმართეს განცხადებით გაწევრიანების თაობაზე ან „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნის შესაბამისად დაიწყეს საადვოკატო სტაჟირება 2019 წლის 1-ელ იანვრამდე.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებებს და თანდართულ დოკუმენტებს. აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ქეთევან ყიფშიძის განცხადება ასოციაციაში გაწევრიანების შესახებ.

## საკითხი 2. ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანება.

წევრები გაეცნენ სოფიო ესართიას, ბეჟან ოზგაიძის, ხატია კახიძის და გელა გოგიჩაიშვილს განცხადებებს ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნული პირების მიერ წარმოდგენილ განცხადებებს თან ერთვის ყველა საჭირო დოკუმენტი და შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს სოფიო ესართიას, ბეჟან ოზგაიძის, ხატია კახიძის და გელა გოგიჩაიშვილის მიერ წარმოდგენილი განცხადებები ასოციაციაში ხელახლა

## გაწევრიანების თაობაზე.

### საკითხი 3. წევრობის შეჩერების შესახებ განცხადებების განხილვა.

წევრები გაეცნენ “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 21<sup>2</sup> მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად სალომე რობაქიძის, მარიამ ჩალაძის, შოთა ქადარიას, გიორგი ლობჯანიძის და 2021 წლის საწევრო დავალიანების მქონე წევრის - ნათია ყუბანიეშვილის განცხადებას წევრობის შეჩერების შესახებ.

წევრებმა განაცხადეს, რომ ჩამოთვლილ პირთაგან, რომელთაც ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის თანახმად, 2021 წლის საწევრო აქვთ გადასახდელი, ეცნობოთ, რომ “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 21<sup>2</sup> მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, აღმასრულებელი საბჭო ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება ადვოკატისთვის წევრობის შეჩერების შესახებ. თუმცა წევრობის შეჩერება მანამდე არსებული დავალიანების გაუქმების საფუძველი არ არის და ამავე კანონის 21<sup>3</sup> მუხლის პირველი პუნქტის, “ზ” ქვეპუნქტის თანახმად, საწევრო გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში, პირს შეუწყდება ასოციაციის წევრობა. გარდა ამისა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, არსებობს 2012 წლის 30 მაისის ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმად: “საწევრო დავალიანების მქონე პირს, რომელიც მომართავს ასოციაციას პირადი განცხადებით, წევრობის შეჩერების შესახებ, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, 21<sup>2</sup> მუხლის, 1-ლი პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუჩერდება ამ კანონის 21<sup>3</sup> მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით), „ა“ ქვეპუნქტის (პირადი განცხადების საფუძველზე) თანახმად, დაუკმაყოფილდეს განცხადება წევრობის შეჩერების შესახებ; თუმცა წევრობის შეჩერება არ გახდება უკვე არსებული საწევრო დავალიანებისგან გათავისუფლების საფუძველი, რომლის გადახდის ვალდებულება პირს წევრობის შეჩერებამდე, ადვოკატთა ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის (ყოველი მომდევნო წლის საწევრო შენატანის გადახდა ხდება ყოველიურად, მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე) თანახმად წარმოეშვა. საწევრო დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში, უფლებამოსილება შეჩერებულ ადვოკატს, “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის, 21<sup>3</sup> მუხლის, პირველი პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუწყდება), „ზ“

ქვეპუნქტის (თუ არ იხდის საწევრო გადასახადს) თანახმად, შეუწყდება ასოციაციის წევრობა“.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის, 21<sup>2</sup> მუხლის, 1-ლი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს განმცხადებელთა მოთხოვნები წევრობის შეჩერების თაობაზე. ამასთან, 2021 წლის საწევრო დავალიანების მქონე პირს - ნათია ყუბანიშვილს ეცნობოს ინფორმაცია მის მიმართ არსებული საწევრო დავალიანების და 2012 წლის 30 მაისის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების შესახებ, აგრეთვე ეცნობოს იმის შესახებ, რომ დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში მას შეუწყდება ასოციაციის წევრობა.

**საკითხი 4. საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი ძველი მოწმობის მოქმედების ვადის განსაზღვრის საკითხის განხილვა.**

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ 2018 წლის 7 დეკემბერს აღმასრულებელი საბჭოს მიერ ახალი დიზაინის საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი მოწმობის დამტკიცების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი ძველი მოწმობის მოქმედების ვადად განისაზღვრა 2020 წლის პირველი იანვარი, რომელიც აღმასრულებელი საბჭოს 2019 წლის 2 დეკემბრის გადაწყვეტილებით 2021 წლის 1-ელ იანვრამდე. აღმასრულებელი საბჭოს 2020 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილებით საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი ძველი მოწმობის მოქმედების ვადა დამატებით გაგრძელდა 2021 წლის 01 ივლისამდე.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ დღევანდელი მდგომარეობით, მართალია წევრთა უმეტესობამ შეცვალა ძველი მოწმობა, თუმცა, დარჩა წევრთა გარკვეული ნაწილი, რომელთაც დადგენილ ვადაში ასოციაციისთვის არ მოუმართავთ საადვოკატო საქმიანობის დამადასტურებელი მოწმობის შეცვლის თაობაზე.

ამდენად, წევრების მხრიდან პროფესიული საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, მიზანშეწონილია, საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი ძველი მოწმობის მოქმედების ვადა გაგრძელდეს გონივრული ვადით და საბოლოო ვადად განისაზღვროს 2021 წლის 13 სექტემბერი.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული

გადაწყვეტილება:

1. საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი ძველი მოწმობის მოქმედების ვადა განისაზღვროს 2021 წლის 13 სექტემბრამდე;
2. აღნიშნულის თაობაზე ეცნობოთ ადვოკატთა ასოციაციის წევრებს;
3. აღნიშნულის შესახებ წერილობით ეცნობოთ საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს პროკურატურას.

საკითხი 6. განცხადების განხილვა აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე.

წევრები გაეცნენ ააიპ „სამართლებრივი ინიციატივა“-ს და შპს „გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი“-ის მიერ წარმოდგენილ ერთობლივ განცხადებას აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე. მათ მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განცხადება თანდართული მასალებით აკმაყოფილებდა აკრედიტაციის წესით დადგენილ მოთხოვნებს.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ააიპ „სამართლებრივი ინიციატივა“-ს და შპს „გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი“-ის მიერ წარმოდგენილი ერთობლივი განცხადება აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე.

საკითხი 7. აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად, 2021 წლის 18 მაისს დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 116-ე მუხლის, მე-2 პუნქტის, “დ” ქვეპუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 118-ე მუხლის, 1-ლი პუნქტის თანახმად შემოსული 2021 წლის საწევრო გადასახადის გადავადების შესახებ განცხადებების განხილვა (განმცხადებლები: კახა კილაძე, ნიკოლოზ ზაქარაია, თეონა ტაბატაძე, ანა გუჯარაიძე, თემირ გვიშიანი, ნინო სალუქვაძე, მათა ტალახაძე, ია თოდუა, კახაბერ ჭიაბრიშვილი, ხატია ქუბრიაშვილი, ნუნუ ჩოჩელი, ლაშა გოლუბიანი, თამარ დობტურიშვილი, ელენე კავთუაშვილი, მამუკა ტივიშვილი, ფატიმა შედანია, გიგა კოლუა, მზია ფხალაძე, გიორგი გოლუბიანი, მურმან ქამადაძე, შორენა ბარათაშვილი, ლალი ეუაშვილი, სოფიო გოგლიჩიძე, ივანე იორამაშვილი, ღია სარიშვილი, ხათუნა სირაძე, ჯონი ქობალია, მურად მიქელაძე, ლევან ცალუღელაშვილი, ნუგზარ დიდიშვილი, ნინო დოლიძე, ივანე სვიმონიშვილი, რუსუდან კვინიკაძე, ავთანდილ

ბუაძე, დავით კორკოტაშვილი, მირიან პეტრიაშვილი, სალომე სამხარაძე, თეა ღვინჯილია, მაია გულიაშვილი, ზაზა სირბილაშვილი, კოკი კობახიძე, თეიმურაზ მეზვრიშვილი, ტრისტან ლომიძე, მალხაზ ბოლქვაძე, თამარი ლომთაძე, დარეჯან ზედგინიძე, თამაზ სვანიშვილი, მევლუდ ჯანჯღავა, მარინა ჯანიაშვილი, გელა გოგიჩაიშვილი, ალექსანდრე ლომთათიძე, მარიამ ძიძიგური, სალომე ზურაბიანი, თეონა გუგუშაშვილი, ირინა ბათიაშვილი, თეონა ქარჩავა, მანანა გელაშვილი, მარინე ჭყონია, ლია სარიშვილი, ილია ნაცვლიშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: წინამდებარე საკითხი განხილულ იქნა დღის წესრიგის „საკითხი 9“-ის ფარგლებში.

**საკითხი 8. 2021 წლის საწევრო დავალიანების გადავადება/გათავისუფლების შესახებ განცხადებების განხილვა (განმცხადებლები: რაიზულ კირკიტაძე, რაფაელ ამბარცუმიანი, ნანა როსტიაშვილი, მარიამ სებისკვერაძე, თემურ გიკაშვილი, ზურაბ ქსოვრელი, ნელი იასაღაშვილი, მთვარისა კველიშვილი, მაია კაკუბავა, მამუკა კონჯარია, გიორგი გელენიძე, მანანა ლობჯანიძე.**

ღია კენჭისყრით, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: წინამდებარე საკითხი განხილულ იქნა დღის წესრიგის „საკითხი 9“-ის ფარგლებში.

**საკითხი 9. 2021 წლის საწევრო დავალიანების მქონე წევრთა მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საკითხის განხილვა.**

დღის წესრიგის მე-9 საკითხთან დაკავშირებით წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია, რომ 2021 წლის 17 მაისის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით 2021 წლის 18 მაისიდან დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის, მე-3 პუნქტის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადად განისაზღვრა 2021 წლის 18 ივნისი, ხოლო 2021 წლის 18 ივნისის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით, საწევრო დავალიანების გადახდის ვადა გაგრძელდა დამატებით 14 კალენდარული დღით - 2021 წლის 2 ივლისამდე.

თავმჯდომარემ წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ დღეის მდგომარეობით, 832 ადვოკატს ერიცხება 2021 წლის საწევრო დავალიანება. ამასთან, წევრთა გარკვეულმა რაოდენობამ მომართა ასოციაციას საწევროს გადახდის სხვადასხვა ვადით

გადავადებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, რადგან ასოციაციის თვითმიზანი არ არის წევრთა უფლებამოსილების შეწყვეტა და წარმოდგენილია განცხადებები საწევროს გადავადების თაობაზე, მიზანშეწონილია, კოლეგებს მიეცეთ შესაძლებლობა ადმინისტრაციული წარმოების ვადის გაგრძელებით დაფარონ საწევრო დავალიანება. თავმჯდომარემ წევრებს შესთავაზა საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის თანახმად, საწევრო დავალიანების დაფარვის ვადის გაგრძელება დამატებით, კიდევ 14 კალენდარული დღით - 2021 წლის 16 ივლისამდე.

თავმჯდომარემ წევრებს შესთავაზა დღის წესრიგის მე-7 და მე-8 საკითხების განხილვის ასევე 14 კალენდარული დღით - 2021 წლის 16 ივლისამდე გადადება.

წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭისყრაზე დადგა საკითხი 2021 წლის 17 მაისს აღმასრულებელი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, 2021 წლის 18 მაისს დაწყებული ადმინისტრაციული წარმოებით დადგენილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის გამოცემის და შესაბამისად, საწევრო დავალიანების დაფარვის ვადის 14 კალენდარული დღით, ანუ 2021 წლის 16 ივლისამდე გაგრძელების თაობაზე.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

1. 2021 წლის 17 მაისის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად, 2021 წლის 18 მაისს დაწყებული ადმინისტრაციული წარმოებით დადგენილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის გამოცემის და შესაბამისად, საწევრო დავალიანების დაფარვის ვადა გაგრძელდეს 14 კალენდარული დღით და ინდივიდუალური - სამართლებრივი აქტის გამოცემის საბოლოო ვადად განისაზღვროს 2021 წლის 16 ივლისი.
2. დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-7 და მე-8 საკითხების განხილვა ასევე გადაიდოს 2021 წლის 16 ივლისამდე.

საკითხი 10. პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატების დამტკიცება.

წევრები გაეცნენ ნინო ამაღლობელის, კახაბერ პაპავას, ამირან გიგუაშვილის, ვახტანგ ბარამაშვილის, დავით ბიჭიკაშვილის, დავით მიქაბერიძის, გიორგი ავალიშვილის,

ალექსანდრე ნაჭყებიას და ლევან გოჩაშვილის განცხადებებს, ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატებად დამტკიცების შესახებ.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლები აკმაყოფილებენ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების 10.1 და 10.2 პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდნენ ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატებად ნინო ამალაშვილის, კახაბერ პაპავას, ამირან გიგუაშვილის, ვახტანგ ბარამაშვილის, დავით ბიჭიკაშვილის, დავით მიქაბერიძის, გიორგი ავალიშვილის, ალექსანდრე ნაჭყებიას და ლევან გოჩაშვილის კანდიდატურები. გადაწყვეტილების ასახვა სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთა რეესტრში დაევალოს სასწავლო ცენტრის დირექტორს.

#### საკითხი 11. სხვადასხვა:

წევრები გაეცნენ და სკრუპულოზურად განიხილეს ნატო გოგმაჩაძის 2021 წლის 23 ივნისის განცხადება, სად განმცხადებელი მიუთითებდა, რომ იგი ნაწილობრივ ამცირებს 2019 წლის 22 ივნისის განცხადებისა და 2021 წლის 07 ივნისის აღმასრულებელი საბჭოს სხდომის დროს მის მიერვე დაზუსტებულ მოთხოვნებს, კერძოდ, აჭარის ადვოკატის უფლებათა დაცვის რეგიონული კომიტეტის თავმჯდომარის ზაზა პაპიძის თანამდებობიდან გათავისუფლების ნაწილში.

წევრებმა განაცხადეს, რომ 2021 წლის 07 ივნისის აღმასრულებელმა საბჭომ უკვე განიხილა ნატო გოგმაჩაძის 2019 წლის 22 ივნისის განცხადება და მოთხოვნები სრულად და მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილებები, რის გამოც მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს მოთხოვნის ნაწილობრივ შემცირების თაობაზე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 191-ე მუხლის პირველი ნაწილით განმცხადებელს უფლება აქვს მთლიანად ან ნაწილობრივ უარი განაცხადოს თავის მოთხოვნაზე (შეამციროს მოთხოვნა) მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე. ამასთან, სზაკ-ის 102-ე მუხლის, მე-2 ნაწილის თანახმად, განცხადება იმ საკითხთან დაკავშირებით, რომლის თაობაზედაც არსებობს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, შეიძლება წარდგენილი იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფაქტობრივი ან სამართლებრივი



მდგომარეობა შეიცვალა დაინტერესებული პირის სასარგებლოდ, ან თუ არსებობს ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოებანი, რასაც ადგილი არა აქვს განსახილველ შემთხვევაში.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: ნატო გოგმაჩაძის 2021 წლის 23 ივნისის განცხადება დარჩეს განუხილველად. განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე.

**აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.**

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე. წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: [www.gba.ge](http://www.gba.ge).

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

**დავით ასათიანი**  
**თავმჯდომარე**